№ 86
პარასკევი, 20 აპრილი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 86
პარასკევი, 20 აპრილი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

სოფიო გრიგოლის ასული ფერაძისა, ილია იოანეს ძე ფერაძე და ერმონია იოანეს ასული ხიმშიაშვილისა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ფერაძისა და მღვდელი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორე და მესამე საყვარელის მამის, მეოთხე მამამთილის და მეხუთე სიმამრის ნებოძირის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდლის

იოანე ფერაძის

ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფელს ნებოძირში კვირას, 22 აპრილს (სადგური მოლითი).
(2—104—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ი. ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ ბედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანახიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო კაბინეთი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე. მიხეილის და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგან აქვს.
(100—256—38)

გამგეობა ტფილისის ეპარქიის სანთლის ქარხნისა აუწყებს ტფილისის მცხოვრებლებს, რომ **წმინდა ცვილისაგან ჩამოსხმული სანთელი**

ისყიდება

შემდეგს ადგილებში: 1) სიონის საკრებულო ტაძრის (სობოროს) ეზოში; 2) ალექსანდრეს ბაღში; 3) ავლაბრის მეიდანზედ, ჯალალოვის სახლში და 4) ვოკზლის ქუჩაზედ, სახლი № 6. (3—100—2).

ახალი ამბავი

⁂ როგორც შევიტყეთ, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად მოხდება 22 მაისს.

⁂ ჩვენ უკვე გვქონდა გუშინ მოხსენებული, რომ ქალაქის მოურავმა ბელგიის უსახელო საზოგადოებას დეპეშა გაუგზავნა იმ საქმის გამწვავების გამო, რომელიც საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნის რობისა და ქალაქის გამგეობის შორის მოხდა სესხის მიღების თაობაზედ. ქალაქის მოურავი, სხვათა შორის, შეჰკითხებია უსახელო საზოგადოებას,—აქვს თუ არა დავალებული ბ-ნს რობის, რომ პირობისამებრ ქალაქს 600,000 მან. ანგარიშში სესხად 500,000 მან. არ მისცეს და ან მიენდო თუ არა მას, არ მიიღოს უკანვე ქალაქის გამგეობისაგან ის 300,000 მანეთი, რომელიც 15 წლის განმავლობაში აღნიშნულ საზოგადოებისაგან კუთვნილ გარდასახადში ქალაქმა არ მიიღო.

ფელეტონი

სიმინდი და სიმინდის მეურნეობა ქუთაისის გუბერნიაში

IV

(ტიმოფეევისა)

(შემდეგი *))

დავასახელოთ, რად და რისთვის ჰხმარობენ სიმინდის სხვა და-სხვა ნაწილებს: ფუჩეჩიდგან, რომელიც ტაროს ახვევია, მშვენიერს პაპიროსის ქაღალდს აკეთებენ, აგრეთვე საწერ ქაღალდს და „კარდონებს". ფუჩეჩს თავდაპირველად კარგად გარეცხავენ, შემდეგ ცოტას დაასველებენ რომელსამე სიმჟავეში (кислота); ამის შემდეგ სჭყლეტავენ და არბილებენ; ასე მომზადებულს ფაფას აცლიან წვრილ ღეროებს და ძაფებს. ფუჩეჩიდგან აკეთებენ აგრეთვე მშვენიერს ბუმბულს ლეიბებისათვის. მას ხმარობენ ნაყოფების შესახვევად და შლიაპების საქსოვადაც. ღეროების გულს ჰმარობენ გემებზედ დაცალიერებულ ადგილის ასავსებად. ტაროების ქურჩები დიდს ქარხნებში, სადაც ყოველთვის ძლიერი ცეცხლია საჭირო, შეშის მაგიერად იხმარება. ქურჩისაგან ამზადებენ აგრეთვე ნახშირს უთოსათვის. დამსხვრეული ქურჩების მარცვლებიც მშვენიერს საჭმელს წარმოადგენს საქონლისათვის, მით უმეტეს, თუ დაასველებენ. ქიმიურად ამ საჭმელში შედის შაქარი, ცილოვანი (бѣлковыя) ნივთიერებანი და სახამებელი.

ამ ბოლოს დროს სიმინდი სამკურნალოდ გამოსადეგი გახდა. სიმინდის ფქვილი ძალიან სასარგებლოა ორთქლით რჩენის დროს, მოხარშული მარცვლები უხდება თვალების ანთებას, მამრობითის სქესის ყვავილები კარგია ბუშტის ავადმყოფობისთვის, მხოლოდ მდედრობითის სქესისა-კი გამოსაყენებელია როგორც ჩაის სანაცვლო. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სიმინდს, როგორც მკვებავს მცენარეს. თავდაპირველად საქონელს აჭმევენ მწვანე ფოთლებს სიმინდისას, ანუ ცოტა მჟავედ მომზადებულს სიმინდს. ამ ნაირ მჟავე სიმინდს ამზადებენ განსაკუთრებულ ორმოებში. ამნაირად სიმინდის ჩალას ამზადებენ იმ ქვეყნებში, სადაც მარცვლები კარგად არა მწიფდება. ამისათვის ჰხმარობენ უფრო მომსხო ჯიშის სიმინდს, სახელდობრ ცხენის კბილას. რაც შეეხება ნოყიერებას, მწვანე და დამჟავებული სიმინდი უფრო ნაკლებად ნოყიერია ჩვეულებრივზედ, რომელშიაც აზოტიურ და უაზოტო ნივთიერებათა დამოკიდებულება გამოიხატება 1:4—5, მწვანე სიმინდში-კი დამოკიდებულება გამოიხატება 1:7, ხოლო მჟავეში 1:8. როგორც მწვანე, ისე მჟავე სიმინდს ძალიან გუნებიერად სჭამს საქონელი, განსაკუთრებით ხარი, ძროხა და ცხენი. ეს საკვები მშვენიერი და სასარგებლოა როგორც მუშა, ისე სახორცე საქონლისათვის. ერთ დესეტინაზედ 1500—3000 ფუთამდე მწვანე საკვები სიმინდი მოვა, რომლის ნოყიერებაც 350—700 ფუთს თივისას უდრის. ზოგიერთს ადგილას, სადაც სიმინდის მოყვანას მხოლოდ ამ აზრით მისდევენ, იქ დესეტინაზედ ხანდახან ამისთანა მწვანე სიმინდის 7,000 ფუთიც მოდის. ჩვენში ამ გვარად სიმინდს მხოლოდ მაშინ ხმარობენ, თუ სიმინდის ყანები ბლომად აქვთ დადებული. რაც შეეხება ხმელ ჩალას, მას, როგორც ზევით გვქონდა ნახსენები, ქუთაისის გუბერნიაში ჰხმარობენ როგორც თითქმის ერთად ერთს საკვებს საქონლისათვის. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ იგი შესდგება შემდეგი ნივთიერებიდგან:

წყალი — — —	14%
ცილოვანი ნივთიერებანი—	3%
უაზოტო ნივთიერებანი —	37,9%
სიმსუქნე — — —	1,1%
კლეტჩატკა — — —	40%
ნაცარი — — — —	4,87%

როგორც ჰხედავთ, ეს საჭმელი ნოყიერებას ძალიან მოკლებულია, რაიცა გამოიხატება აზოტიან და უაზოტო ნივთიერებათა დამოკიდებულებაში, რომელიც უდრის 1:13—14. მონელებით კი საქონელი კარგად ინელებს, განსაკუთრებით, თუ ჩალა საშუალო და პატარა ჯიშის სიმინდისაა. მაგრამ მაინც საჭიროა, რომ პატრონები ამ საკვებს უმატებდნენ სხვა უფრო ნოყიერს საჭმელს. საქონელს რომ ჭამა გაუადვილონ, ჩალას სჭრიან პატარ-პატარად და ისე აძლევენ. ჩალას მანქანებითა სჭრიან. მანქანებით დაჭრილი ჩალა თითქმის თივის მსგავსია და უფრო ადვილი მოსანელებელი; ასე მომზადებულ ჩალას ბაზრებზედაც დიდი გასავალი აქვს, რადგანაც საქონელი ძალიან ეტანება. ასეთის ჩალის მომზადება უნდოდათ შემოეღოთ ქუთაისის გუბერნიაშიაც. პირველი საცადი ეკუთვნით ვაჭრებს ფეიქაროვებს; პირველმა ცდამ იმედი ვერ გაამართლა, რადგანაც ჩალა ძირში იყო მოჭრილი და აგრეთვე მისი მოჭრა დაჰგვიანებოდათ. როგორც გადმოგვცა, ახლა უკედ მოუწყვია, რადგანაც ამ საქმეს ამერიკაში გასცნობია. ფეიქაროვი დაგვპირდა მოხსენების წარმოდგენას იმ დროისათვის, როცა ახალ ცნობებს, ახალ მანქანებს და სხვა იარაღებს ამერიკიდგან მიიღებს.

სიმინდს მარცვლებადაც აჭმევენ სხვა-და-სხვა საქონელს, სახელდობრ ხარებს, ხბოებს, ცხენებს, ღორებს, შინაურ ფრინველებს და აგრეთვე მეწველ ძროხებსაც. რადგანაც სიმინდში სიმსუქნე ბევრია, ამიტომაც ის ერთი საუკეთესო საკვებთაგანია საქონლისათვის, როგორც სხვა საჭმელში შერეული, ისე თავისთავადაც, წმინდად. სიმინდი ღორებს ქონს უმაგრებთ და ამასთანავე აჩჩვილებს. საზოგადოდ სიმინდით გასუქებულის ღორის ხორცი მშვენიერი საჭმელია. რადგანაც სიმინდის მარცვლები ძალიან მაგარია, ამიტომაც იგი ძნელი მოსანელებელია, განსაკუთრებით ცხენებისათვის, რომელთაც სიმინდის ჭამით კბილები ერყევათ და უფუჭდებათ. ამისათვის სიმინდს ჰღერღავენ განსაკუთრებულად მომზადებულ საღერღავ მანქანებით, რომელთაც ფილდას საღერღავებს ეძახიან. ცხვრებს საზოგადოდ მთელ ტაროებად აძლევენ, ხოლო ფრინველებს მარცვლებად. მეწველ საქონელს აჭმევენ გაორთქლილს სიმინდს, ან ფქვილს.

საქონლის საჭმელად სიმინდს ჰხმარობენ განსაკუთრებით ამერიკაში, რადგანაც სიმინდის მოსავალი დიდია; ამასთანავე სიმინდი შედარებით სხვა მოსავალთან ძალიან ცოტა გამოაქვთ ამერიკიდგან და ამ ბოლო დროს ფასმაც ძალიან დაიწია, რამაც ამერიკელი ფერმერები ძალიან შეაშინა. ფერმერებმა გადასწყვიტეს, რომ სიმინდი გაესაღებინათ არა იმითი, რომ ტომრები დაევსოთ და გაეგზავნათ, არამედ მითი, რომ ბევრი საქონელი გამოეკვებათ. ამ ბოლო დროს კონზასის და ნებრასკის შტატებში, სადაც სიმინდის კრიზისი

---

*) იხ. „ივერია" № 77.

⁂ სამშაბათს, 17 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში ქალაქის თვითმმართველობის 37 მოხელემ განცხადება შეიტანა, რომელშიაც იგინი წინააღმდეგობას აცხადებდნენ იმის გამო, რომ ქალაქის მოხელეთათვის დაარსებული შემნახველ-გამსესხებელი კასსა გაუქმებული იქმნა. მოხელენი თხოულობენ აღნიშნულ კასის წევრებად მიღებულ იქმნენ და ნება მიეცეთ ორშაბათს, 23 აპრილს, კასის წევრთა საზოგადო კრებაზედ მონაწილეობა მიიღონ. ქალაქის გამგეობამ 18 აპრილს, განიხილა-რა ეს განცხადება, დაადგინა — თხოვნა კასის თავმჯდომარეს ქალაქის მდივანს სტ. თ. ჭრელაშვილს გადაეცეს და საზოგადო კრებას წარუდგინოს განსახილველად. გამგეობამ დაადგინა ამასთანავე, რომ, რადგანაც ქალაქის გამგეობა ამ დაწესებულებას დიდს ყურადღებას აქცევს და ამასთანავე კასას აქამდე ქალაქისათვის მისგან ნასესხები 2,000 მან. არ დაუბრუნებია, დაევალოს გამგეობის წევრს ბ-ნ შესტაკოვს, რომ იგი ამ კასის წევრთა საზოგადო კრებას დაესწროს.

⁂ დღეს, 20 აპრილს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება მოხდება. განსახილველად დანიშნულია: 1) მიმდინარე საქმეები და 2) საზოგადოების სამეურნეო კომისიის მოხსენება: ა) ტფილისის საბაღოსნო სკოლის მდგომარეობა, ბ) სკოლაში სწავლის დაწყების საქმე და გ) სკოლის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ როგორც კავკავიდგან დეპეშით გვატყობინებენ, იქ გარდაცვლილა თავადი ერთთეოზ გიორგის ძე სიდომონ-ერისთავი, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის კავკავის ქართველობისა და ქართული სკოლის წინაშე.

⁂ კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტს უკვე მოსდის მრავალი განცხადება მომავალ გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურველთაგან. სხვათა შორის ვარშავიდგან მოსვლია განცხადება ბ ნ დობროვსკისა, რომელიც აპირებს ყრუ-მუნჯთა ნაწარმოების გამოგზავნას.

⁂ კავკასიის მეურნეობის ინსპექტორს ბ ნ გეევსკის კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის წარუდგენია მეურნეთა მომავალ კრების პროგრამა, რომელშიაც შეტანილია, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: ყანების მდგომარეობის მოკლე დახასიათება, ყანების ტეხნიკურად დამუშავების გაუმჯობესობა, კავკასიაში ძვირფას მცენარეთა მოშენების პირობები, ყანების მორწყვის საქმე, მოსავლის მავნე მწერებსა და ავადმყოფობასთან ბრძოლა; სეტყვისა, გვალვისა და წყალდიდობის წინააღმდეგ მისაღები ღონისძიებანი და სხვანი.

⁂ ამას წინად გარდაცვალებულ მილიონერის ზუბალაშვილის მემკვიდრენი აპირობენ თურმე საჭირო თანხის გადადებას კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გასამართად

⁂ შაბათს, 21 აპრილს, კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის სამხატვრო განყოფილების გამგე ბ-ნი ხოდოროვიჩი სამეურნეო საზოგადოების სადგომში იწვევს ტფილისში მცხოვრებს მხატვრებს ხსენებულ განყოფილების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობის რწმუნებულთ, თავ. ნაკაშიძისა და ბ-ნ ივანოვის გარდა, ყველას თავი დაუნებებიათ რწმუნებულობაზედ.

⁂ უმაღლესმა მთავრობამ დააწესა ფოთის ნავთსადგურიდგან გასატან და შემოსატან საქონელზედ ნახევარ-ფუთის გარდასახადი ხაზინის სასარგებლოდ.

⁂ ამ წლის შემოდგომაზედ ტფილისის საფოსტო სადგური გადატანილი იქმნება ოლგას ქუჩაზედ, იქ, სადაც ეხლა ფოსტის ეტლების ქარხანაა. ხოლო ზემოხსენებულ სადგურის შენობა აზრადა აქვთ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეთა ბინებად გადააქციონ.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ პეტერბურგიდგან გაგზავნილ იქმნას სპეციალისტი ახალ ქალაქის მაზრაში მოსავლის გამანადგურებელ მწერების გამოსაკვლევად და მათთან საბრძოლველ საშუალებათა შესამუშავებლად.

⁂ 22 აპრილს ტფილისის რკინის გზის სასწავლებლის 36 მოსწავლე თავისის უფროსითურთ განსაკუთრებულის ვაგონით მიდიან ბაქოში ნავთიან ადგილების დასათვალიერებლად.

⁂ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას 500 მან. გადაუდვია კავკასიის სამეურნეო გამოფენის გასამართად.

⁂ დ. ზ. სარაჯიშვილის რწმუნებულს წარუდგენია კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტისათვის დასამტკიცებლად პავილიონის გეგმა, ხუროთ-მოძღვრის ბ-ნ კლდიაშვილის მიერ შედგენილი.

⁂ ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე მუშტაიდის ბაღსა და საბაღოსნო სკოლის შუა ქუჩის გასაყვანად საჭირო სახაზინო მიწის დათმობის შესახებ. ეხლა ხსენებულ სამინისტროს დეპარტამენტს უთხოვნია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, გაუგზავნოს განზრახულ ქუჩის ადგილ-მდებარეობის გეგმა.

⁂ გუშინ, 19 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატას სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ტფილისის მცხოვრებს ივანე პაპინაშვილს სასჯელთა დებულების მე-996 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენისათვის ყოველისავე პირადად თუ მდგომარეობათ მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და მადნებში მუშაობა მიესაჯა.

⁂ 18 აპრილს, პოლიციის მე 9 ნაწილში, რეუტოვის ქუჩაზედ ვიღაც ბოროტ განმზრახველს სტატსკი სოვეტნიკის ქვრივის ბახუტოვისათვის 50 მან. მოუპარავს ფულად. ბახუტოვს ქურდობაში ეჭვი განუცხადებია გორის მაზრის მცხოვრებელ გლეხ დიმიტრი ბითარაშვილზედ, რომელიც პოლიციამ უკვე დააპატიმრა და პასუხის გებაში მისცა.

⁂ 18 აპრილს ქალაქის გამგეობამ წარუდგინა სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს ქალაქის თვით მმართველობის მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდების პროექტი და დაავალა, მოიწვიოს მოსამსახურეთა ამ პროექტის განსახილველად.

⁂ კავკასიის სამეურნეო გამოფენის პროგრამა და წესები გადათარგმნილ იქმნა ქართულად, სომხურად და ფრანგულად; ხოლო თათრულად გადათარგმნა მინდობილი აქვს იმ საგუბერნიო კომიტეტებს, რომელნიც ამას საჭიროდ დაინახავენ.

⁂ 18 აპრილს ტფილისის კადეტთა კორპუსის მე-VII კლასის მოსწავლეთ, რიცხვით 50 კაცს, რკინის გზის უფროსის ნებართვით დაათვალიერეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სახელოსნოები.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება რთვით 1 ლ მაისიდგან 1 ლ ნოემბრამდე საქართველოს სამხედრო გზაზედ მიმომსვლელ ეტლების ცხენების რიცხვს (707) მიემატება კიდევ 380 ცხენი.

⁂ ზუგდიდის მაზრის გამგეობის საქმის-მწარმოებელი სამსონ ჩიქოვანი დანიშნულ იქმნა სვანეთის ნაწილის ბოქაულად.

⁂ ბათუმში ახლად დაარსებულის მომხმარებელთა საზოგადოების „ეკონომიის“ წესდება ქუთაისის გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია. კვირას, 22 აპრილს ამ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება.

⁂ ამას წინად კუკიის სასაფლაოზედ უნახავთ უპატრონოდ დარჩენილი 4—5 წლის გოგო, რომელიც ქართულად ლაპარაკობს თურმე. ბავშვი პოლიცმეისტრის გამგეობაში მიუყვანიათ.

⁂ 18 აპრილს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-246 ვერსის გზის დარაჯს უნახავს მატარებლიდგან გადმოვარდნილი და დაშავებული კაცი, რომელიც გაგზავნილ იქმნა ტფილისის საავადმყოფოში.

⁂ როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, 18 აპრილს მოიჯარადრის პროშენსკოვის მუშა მღებავი კოლაჩეკი ქუთაისიდგან მესამე ვერსზედ მუშაობის დროს კიბიდგან გადმოვარდნილა და დაშავებულა.

⁂ როგორც გუმბრიდგან გვატყობინებენ, 19 აპრილს, 241 ვერსზედ ქვის ზვავი გადმოვარდნილა, რის გამო ყარსიდგან ამ ადგილამდის დანიშნულ იქმნა მატარებელი № 241, რომელზედაც უნდა გადასხდნენ მგზავრნი.

⁂ როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, 18 აპრილს, ვაგონების მწმენდავი ქალი ელისაბედ რუბაი 1-ლ კლასის ვაგონის წმენდის დროს გულით დასტაკებია ვაგონის კარს და დაშავებულა.

წერილი დუშეთიდან.

როგორც კუზიანი არ გასწორდება, ისე დუშეთის საქალაქო საქმეებიო, გამიგონია ზოგიერთა დუშელისაგან, როდესაც დუშეთის ქალაქის საქმეებზედ ლაპარაკი ჩამოვარდნილა. „კუზიანს საფლავის მეტი ვერაფერი გაასწორებსო“, ამბობს რუსული ანდაზა, მაგრამ მას

დადგა, ხელი მიჰყვეს სიმინდით საქონლის გასუქებას და მის გაყიდვას; ააშენეს ვეებერთელა საქონლის საკლავები, უშველებელი ფაბრიკები ხორცისა და ქარხნები, რომლებიც მხოლოდ ღორის ქონს ამზადებენ. რასაკვირველია, ამ საქმისათვის ბევრი ფული დაიხარჯა, მაგრამ მისი წარმოება ეხლა 100 მილლიონ დოლლარს იძლევა. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, ეხლა ხელი მოჰკიდეს ფრინველების გაშენებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მეურნეობაში. სხვა საქონლის კვებაც სცადეს, მაგალითად ღორებისა, მაგრამ ამას ნაყოფი არ მოუტანია. ეხლა გავიმეოროთ უმთავრესი დასკვნანი, რომლებამდეც მივედით:

1) სიმინდს ქუთაისის გუბერნიაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა პურეულობას განსაკუთრებით გუბერნიის დასავლეთ ნაწილში, საიდგანაც 6,5 მილლიონი ფუთი სიმინდი გააქვთ.

2) კავკასიიდგან გატანილს სიმინდს ისე, რიგორც რუსეთიდგან გატანილს, არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მსოფლიო ბაზრისათვის და სრულიად დამოკიდებულია ამ უკანასკნელისაგან.

3) ჩვენიდგან გატანილ სიმინდის რაოდენობას ამ ბოლოს დროს დიდი მეტ-ნაკლებობა დაეტყო და ჩვენმა სიმინდმა უფრო იკლო.

4) მეტ-ნაკლებობა ეტყობა აგრეთვე ფასსაც, რომელმაც ძალიან დაიწია.

5) რადგანაც სიმინდის გატანის საქმე კარგად არ არის მოწყობილი, ამიტომაც ეს მოვლენა დაეტყო ფასების დაკლებას კავკასიის ნავთ-სადგურებში და აგრეთვე თავ-თავისს ადგილებზედაც.

6) სიმინდის მოხმარება ჩვენში თითქმის სრულიად არ იციან, რასაკვირველია, ამერიკასთან შედარებით, მაშინ როდესაც მისი მოხმარება შეეძლო უფრო მეტს ნაწილს ხალხისას და ადვილი შესაძლებელი იყო, რომ სიმინდი ჩვენშივე გასაღებულიყო.

7) რაიცა შეეხება სიმინდის კრიზისს, მისი თავიდგან აშორება ადვილად შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებით, თუ ხალხი მოიხმარებს ისე, როგორც ჰხმარობენ ამერიკაში საქონლისა და ტეხნიურ წარმოებისთვის.

ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საგნის შემუშავებისათვის, თუ როგორ უნდა იქმნეს მოწყობილი ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის მეურნეობის საქმე, რასაც მეორე ლექციაში გავეცნობით.

II

კითხვა მეორე.

წარსულის კითხვით ჩვენ გავეცანით სიმინდს, როგორც მცენარეს, რომელიც გამოსაყენებელია კაცისათვის საჭმელად, საოჯახო მეურნეობისა და ტეხნიკურ წარმოებისათვის. შემდეგ ნათქვამი იყო, რომ სიმინდს ქუთაისის გუბერნიაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა პურეულობას და დასავლეთ ნაწილიდგან გააქვთ 6,5 მილიონი ფუთი სიმინდი საზღვარ-გარედ; მაშასადამე, მას აქვს დამოკიდებულება საქვეყნო ბაზართან. ავხსენით-რა საქვეყნო წარმოება და მოხმარება სიმინდისა, მისი რაოდენობა მსოფლიო ბაზარზედ და მონაწილეობა ყოველის ქვეყნისა ამ წარმოებაში, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კავკასიისა და რუსეთის სიმინდს ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს საქვეყნო ბაზარზედ, რომლის მოთხოვნილებაც სრულიად დამოკიდებულია შეერთებულ შტატების მოსავლისაგან. ამასთანავე ვახსენეთ ფასების მეტ-ნაკლებობაც და მათი დაკლება ამ ბოლო დროს. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ უმთავრეს საშუალებად სიმინდის კრიზისიდგან გამოსასვლელად შეერთებულმა შტატებმა მიიჩნიეს მისი გატანა სხვა ქვეყნებში და დარჩენილი სიმინდი მოიხმარეს ისე, როგორც ჩვენ გვქონდა მოხსენებული ზემოდ. შემდეგში-კი ჩვენ უნდა გავარჩიოთ შემდეგი კითხვები:

1) შეგვიძლიან თუ არა ჩვენ იმ ბუნებრივ და ეკონომიურ ვითარებაში, რომელშიაც ვართ, ვაწარმოვოთ სიმინდი საქვეყნო ბაზარზედ გასატანად; ანუ, სხვა-გვარად რომ ვთქვათ, შეგვიძლიან თუ არა ჩვენ, რომ მოსავალი მეტი იყოს ჩვენში და იმაზედ დანახარჯი და გასავალი-კი ნაკლები და, ერთის სიტყვით, გავაუმჯობესოთ და გავაიაფოთ სიმინდის გატანის წეს-რიგი და სხვა; 2) რომელს დარგს ზემოდ აღნიშნულს წარმოებისას შეუძლიან მოიდგას ჩვენში ფეხი და

3) რა მიმართულებით უნდა იქმნეს შეცვლილი ჩვენში მეურნეობა საზოგადოდ.

ამნაირად ფართოდ მოკითხვა საგნისა ამ შემთხვევაში აუცილებელია, რადგანაც რომელისამე ადგილის მეურნეობის მდგომარეობა სრულიად დამოკიდებულია ბუნებრივ, ისტორიულ და ეკონომიურ ვითარებისაგან; მეურნეობის წესიერ ნიადაგზედ დაყენებისათვის საჭიროა შესწავლა იმ ფაქტორებისა, რომელთაც გავლენა აქვთ მეურნეობაზედ. ეხლა სათითაოდ გავსინჯოთ და გავარჩიოთ ეს ვითარებანი. შევუდგეთ დახასიათებას ბუნებრივის მდგომარეობისას, ესე იგი ტოპოგრაფიულის ნიადაგისას, ჰავისას და სხვანი. ნიადაგის მნიშვნელობის გარდა მეურნეობის ავ-კარგიანობა სრულიად დამოკიდებულია მისის ტოპოგრაფიულ მდგომარეობისაგან. ქუთაისის გუბერნიაში ნიადაგი სხვა-და სხვანაირია. რიონის ხეობა და ნაწილი ყვირილისა, აგრეთვე ზოგიერთი ალაგი გურია-სამეგრელოსი და სოხუმის ოლქისა, წარმოადგენს სრულიად დაცემულს ადგილებს. ეს ადგილები შეადგენს $\frac{1}{5}$ მთელის გუბერნიისას და უმეტესი მისი ნაწილი დაფარულია ჭაობებითა, ტყეებითა და ჩირგვნარებით. ამისთანა ჭაობები უფრო მეტია ფოთისაკენ, თუმცა გურიაშიაც ხშირად შეხვდებით ასეთს ადგილებს. სოფლები, რასაკვირველია, დაშორებულია ამისთანა ადგილებს და მცხოვრებლები უფრო მთა-გორიან ადგილებს ეტანებიან. ხოლო ის ადგილები, სადაც ჭაობები არ არის, წარმოადგენს ვეებერთელა სიმინდის ზღვას, რადგანაც ნიადაგი განოყიერებულია შლამითა და ნასილავით. რასაკვირველია, სიმინდი ითესება ყოველ წელიწადს და მოსავალიც უფრო და უფრო კარგი იცის. ამნაირად, ზემო აღნიშნული ადგილები წარმოადგენს სიმინდის სამეფოს. რასაკვირველია, აქ ადვილად შეიძლება, რომ კაცმა გამოიყენოს ის საშუალო იარაღები, როგორსაც ამერიკაში ჰხმარობენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი წინდაწინვე გაწმენდილია. ასეთისავე თვისების ნიადაგი არის გურიისა, სამეგრელოსი და სოხუმის ოლქის უმთავრეს მდინარეების ქვედა ნაწილების ნაპირებზედაც.

Amicus

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ, რაც კუზიანებს მანუგეშებლად და მხნედად ეგრედ წოდებული „ორტოპედისტები" მოევლინნენ, რომელთა წყალობითაც ბ-ნნი კუზიანები სააქაოსვე იკურნებიან და ამისათვის საიქიოს გამგზავრების ლოდინი მათთვის საჭირო აღარაა, ეს ანდაზა დაძველებულად უნდა ჩაითვალიოს და ჩაიდუღის წყალს მისცემიოს, მაგრამ რადგან ჩვენი დუშეთის საქალაქო თვითმმართველობის მრავალკუზიანთა საქმეთ ჯერ კიდევ კუზის გამსწორებელი ორტოპედისტი-ექიმი არა ჰყოლიათ და, ეყოლებათ თუ არა, ესეც ალლაჰმა უწყის, ამის გამო, თუ ეს ანდაზა სხვაგან არა, ჩვენში მაინც და მაინც ჯერ კიდევ მნიშვნელობას მოკლებული არ არის და კვლავ დღეგრძელი უნდა დარჩეს, რომ ამ კურთხეული ქალაქის კურთხეულ თვითმმართველობის საქმენი სააქაოს გაუსწორებელ კუზის საიქიოს გასწორების იმედს მაინც არ გამოესალმნენ...

ერთი იმ გვარ საქმეთაგანი, რომელიც ჩვენს თვით-მმართველობას მართლაც გაუსწორებელ კუზად გარდაჰქცევია, გამომცხვარი პურით ვაჭრობისა და მისი ნიხრის გაწეს-რიგებაა, რომელიც დღემდის დუშეთის საქალაქო თვით-მმართველობას წესიერსა და სამართლიანს ნიადაგზედ ვერ დაუყენებია. გამომცხვარი პურით ვაჭრობის გაწეს-რიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დუშეთის მცხოვრებთათვის, ისე ახლო-მახლო სოფლელებისათვის, რომლებიც ხან სეტყვისა და ხანაც მოუსავლობისა გამო სულადზე ხშირად ქისტად არიან ხოლმე, მეტადრე გაზაფხულიდგან მოკიდებული კალოობამდე. ამ ხნის განმავლობაში მრავალი მათგანი, რასაკვირველია, უფრო უღარიბესი ნაწილი, რომლებსაც იმოდენა შეძლებაც-კი არა აქვთ, რომ ბაზარში გასასყიდად მოტანილი ფქვილი თითო ტომრობით მაინც იყიდონ, ფურნეში გამომცხვარ პურის დღიურად სყიდვით მიდიან იოლასა და, რადგანაც ღარიბი ხალხი, სიიაფისა გამო, მესამე ხარისხის პურს უფრო ეტანება, ამ პურის მოთხოვნილება გაზაფხულიდგან კალოობამდე შესამჩნევლად მატულობს ხოლმე; დუშეთის ერთად-ერთი მეპურე პანოსიანცი, ამ გარემოების მიხედვით, მუდამ გაზაფხულობით დუშეთის საქალაქო თვით-მმართველობას მესამე ხარისხის პურზედ ფასის მომატების შესახებ თხოვნა დიჯინით აძლევს უწყვეტავს. პანოსიანცი პირველის, მეორე და მესამე ხარისხის პურითა ვაჭრობს, მაგრამ სწორედ ამ პურის ხარისხებად დაყოფაა ის ფონი, რომელიც ერთს ადგილას ღრჩობს. პანოსიანცი ფასს-კი ამ პურისას, ტფილისის ფასებზედ თუ მეტს არა, თანასწორს მაინც და მაინც თხოულობს, ხოლო მისს პურს ღირსებითა და თვისებით ტფილისის პურთან საერთო სრულებით არა აქვს-რა, რადგანაც დუშეთის მეორე ხარისხის პური ძალიან ბევრით ჩამორჩება ტფილისურ მესამესს, ხოლო მესამე ხარისხის პურად წოდებული, რაღაცა ტლანქი აგურის მსგავსი პური, სრულიად არაფრით შეჰგავს ქალაქის მესამე ხარისხის პურსა და ძნელად დასაჯერებელია, რომ ქალაქში ასეთი უვარგისის პურის გასყიდვა რაიმე ხარისხის პურად იყოს ნება-დართული.

ამ ოთხ-ხუთის წლის წინად დუშეთში რამდენიმე მეპურე ვაჭრობდა; მაშინ პურის ფასებიც უფრო ზომიერი იყო და ღირსებითაც ეხლანდელზედ გაცილებით უკეთესი, მაგრამ მას შემდეგ პურით ვაჭრობის მონოპოლია მარტოდ პანოსიანცმა ჩაიგდო ხელში და საქმეს როგორც უნდა ისე ატრიალებს. რაც აქ ფურნეები იყო, ზოგიერთი თვითონ პანოსიანცმა იქირავა და დაჰკეტა, რომ სხვას არ ექირავა და მოცილე არ გამოსჩენოდა. რამდენჯერმე მეთონე რაჭველებიც მოვიდნენ, მაგრამ რადაცა უცნაურის მიზეზით მაშინვე აიბარგნენ და წავიდნენ. ბოროტი ენები ამის მიზეზად თვითონ პანოსიანცსა სთვლიან: იგი მცირეოდენის ფულით შეიჯერიებს ხოლმე მეთონეებსა და უკანვე აბრუნებს, რომ მოცილე თავიდგან აიცილოს.

დუშეთის საქალაქო თვით-მმართველობამ პანოსიანცის თხოვნა მესამე ხარისხის პურზედ ფასის მომატების შესახებ მარტში განიხილა და წინად არსებულ ფასის (ორ-კაპეიკ ნახევრის) მაგიერ სამი კაპეიკი გახადეს გირვანქის ფასი. ამ საგანზედ სჯა-ბაასის დროს ზოგიერთები, მაგალითად, ბ-ნი ზ. დ. თაბორიძე ფასის მომატების წინააღმდეგნი იყვნენ და თავისს მოსაზრებას იმაზედ ამყარებდნენ, რომ საცდელად პურის გამოცხობამ ის აღმოაჩინა, რომ მეპურე პანოსიანცს ზარალი-კი არა, ძალიან საკმარი მოგება აქვს მესამე ხარისხის პურით ვაჭრობით იმ ნიხრზე (2$^1/_2$ კაპ.), რაც ეხლა არსებობს და ამისთვის ნიხრის მომატება უსამართლობა იქნებაო. მაგრამ მათ არ ეთანხმებოდნენ თვით ქალაქის „სტაროსტა" ბ-ნი ტერტეროვი და ხმოსნები ბ-ნნი ი. ი. ალავერდოვი და ა. შადინოვი და ამბობდნენ, რომ ეგ მოსაზრება თაბორიძისა საკმაოდ დასაბუთებული არ არისო; ამის გამო კრებას ფასის მომატებას ურჩევდნენ. თაბორიძემ წინადადება მისცა კვლავ გამოეცხოთ საცდელად პური თვითონა და ჭეშმარიტება ამ გზით გამოერკვიათ, მაგრამ პანოსიანცის სასარგებლოდ შემდგარმა სამებამ თავისი გაიტანა და თაბორიძის წინადადება უარჰყო, საქმის წესიერად აწონ-დაწონვასა და ისე განსჯას ის ამჯობინა, რომ დუშეთისა და მის გარშემო სოფლების მცხოვრებთა ღარიბი ჯიბიდგან პანოსიანცის ისედაც მსუქან ჯიბის კიდევ უფრო გასასუქებად მესამე ხარისხის პურს ფასი მოუმატა.

ის მოსაზრებაც ბ-ნის თაბორიძისა, რომ, თუ ფასი ქალაქ ტფილისის ნიხრის მიხედვით იქნება დაწესებული, მეპურე ვალდებული უნდა გაჰხადოთ, რომ პურიც ისეთი გამოაცხოს, როგორიც ქალაქში ცხვებაო, სრულიად სინდისიერი და სამართლიანია; ხოლო პანოსიანცის მფარველების პასუხი, რომ ქალაქიდგან დუშეთში ფუთი ფქვილის მოტანა რვა კაპეიკამდე უჯდება მეპურესა და მარტო ეს გარემოებაა საკმარისი საბუთი, რომ პანოსიანცის თხოვნის თანახმად ფასიც პურისა მომატებული დავაწესოთო, ჭეშმარიტების ჩაფუჩეჩება და მის წინ თვალების დახუჭვაა, რადგანაც ჯერ ერთი, მესამე ხარისხის პური უფრო ადგილობრივის ფქვილისა ცხვება და არა ქალაქიდგან მოტანილისა; ამის გამო, თუ ფასის მომატება მაინც-და-მაინც საჭირო იყო, პირველისა და მეორე ხარისხის პურზედ უნდა მოემატებინათ ფასი, რადგანაც ამ ხარისხის პური ცხვება ქალაქიდგან მოტანილის ფქვილისა და, მეორეც ისა, რომ თუ ფქვილის გადმოტანაში მეპურეს ხარჯი აქვს და ამ მხრივ იგი ბევრად ცუდს გარემოებაშია ტფილისის მეფურნეებთან შედარებით, გაცილებით უკეთესს გარემოებაშია: ქალაქელი მეპურე დუქნის ქირას თვეში 70—100 მანეთამდე იხდის, პანოსიანცი-კი 20 მანეთს იხდის თვეში; ერთი ურემი შეშა, რომელიც ქალაქელს მეპურეს 4 მანეთამდე უჯდება, პანოსიანცს ოთხ აბაზზედ მეტი არ დაუჯდება; ქალაქელი მეპურე წყალსაც ფასით ყიდულობს, ხოლო პანოსიანცს კი მუქთი წყალი კარებზედ ჩამოუდის და სხვანი... მაგრამ...

ახირებულია ის ვითომ-და შიშიც პანოსიანცის მომხრე ხმოსნებისა, რომ თუ პანოსიანცის თხოვნა არ დავაკმაყოფილეთ, იმუქრება, რომ პურს აღარ გამოაცხობს და ამის გამო შესაძლოა ერთს მშვენიერს დღეს დუშეთი უპუროდ დარჩესო. მე არ ვიცი, აქვს თუ არა კანონით მეპურეს ამისი ნება, ხოლო ეს-კი აშკარაა, რომ თუ ამ გზაზედ ივლის ჩვენი საქალაქო თვით მმართველობა გამომცხვარი პურით ვაჭრობის საქმის გაწეს რიგებაში, შეიძლება მეპურე პანოსიანცმა ერთს მშვენიერსავე დღეს ამ გვარისავე მუქარით გირვანქა შავს პურში აბაზი და მეტიც მოითხოვოს და ნუ თუ ვალდებულნი ვიქნებით უთუოდ გაძლიოთ?!

და მეორეც, თუ იგი ფურნეს დაჰკეტავს და სხვა არავინ იკისრებს გაღებას, ქალაქის თვით მმართველობას ცოდვად ჩაუთვლის ვინმე თავისი ფურნე იქონიოს და ქალაქს უფრო სინიდისიერად და სამართლით აძლიოს პური?! ან იქნება ჰგონიათ, რაღაცა სასწაულით, პანოსიანცი იგებს და ქალაქი-კი წააგებს, იზარალებს?!. ეს შიში ბ-ნებო, ტყუილია, მაგრამ რას იზამთ, რომ ჩვენს დუშეთში თურმე ასეთს მექრასაც გასავალი აქვს?..

გარეშე მაყურებელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ჭიათურის შავის-ქვის წარმოების საქმე ამ ჟამად დიდ გაჭირვებაშია. მრავალნი ამ გაჭირვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ჭიათურის შტოს მოუწყობლობას ასახელებენ, საკმაო ვაგონების უქონლობას, ტარიფის სიძვირეს და სხვას. ამასვე სთვლის ჭიათურის შავის-ქვის წარმოების შემაფერხებელ მიზეზად რუსული გაზეთი „Россія"ც, რომლის მე-705 ნომერში მეტად საყურადღებო წერილი დაბეჭდილია ამის თაობაზედ.

„როგორც ვუწყით, სწერს გაზეთი, ჭიათურის შტო, რომლითაც შავ-ქვას ეზიდებიან, მისავალ გზათა იაფ-ფასიან ტიპს წარმოადგენს. სიგრძე შტოს სულ 38 ვერსი აქვს; ვაგონები და ორთქლმავლები ამ შტოზედ მეტად პატარებია, სახალხო ვაგონები სრულიად არ არის, იმ ვაგონების გარდა, რომლითაც ბ-ნნი ინჟენერები დადიან. საერთო ღირებულობა შტოსი 1$^1/_2$ მილიონია, ყოველს შემთხვევაში 2 მილიონ მანეთს არ აღემატება, წმინდა შემოსავალი-კი წელიწადში გზას 700—800 ათასი მანეთი აქვს. როგორც სჩანს, ამ შტოს ხაზინა მხოლოდ შავის-ქვის მწარმოებლებზედ ახალ გადასახადის გასაწერ იარაღადა სთვლის, რადგანაც გადასახადს ასეთს დიდს ართმევს და იმათ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და მადნის გატანის საქმის გაადვილებისათვის-კი სრულებით არა ზრუნავს. ყოველგვარ ხარჯს შტოს მოსაწყობადა და საჭირო ვაგონების შესაძენად მეტადა სთვლიან. 1896 დგან 1900 წლამდე მადნის დამუშავებამ 2$^1/_2$ ჯერ იმატა, რიცხვი ვაგონებისა და ორთქლ-მავლებისა-კი გზაზედ იგივეა, რაც წინად იყო. შედეგი აშკარაა—აუარებელი ქვა გაუტანელი რჩება და, რკინის გზის მთავრობის დაუდევრობის წყალობით, ფერხდება მთელი საქმე, რომელსაც მეტად დიდი მერმისი მოელის. ჭიათურის შავ-ქვას რომ მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მკითხველს იქიდგან შეუძლიან გაიგოს, რომ შორაპნის მაზრაში ამ ქვას 126 ოთხ-კუთხი ვერსი ადგილი უჭირავს. ამასთან შავის-ქვის ზოდი 55 პროცენტამდე წმინდა მარგანეცს შეიცავს. ჯერ ეხლავე ჭიათურა იმ მარგანეცის ნახევარს იძლევა, რაც მთელ დედამიწასა სჭირდება, მერმისში ხომ მსოფლიო ბაზარზედ უპირველესს ადგილს დაიჭერს. ბაზარზედ დიდძალ მარგანეცს თხოულობენ, საჭიროა ეს მარგანეცი ინგლისისა, გერმანიისა და ბელგიის სამეტალურგო ქარხნებისათვის; ეს გარემობა თხოულობს საქმის გაფართოებას, მეტ ქვის ამოღებას დედამიწის გულიდგან, მაგრამ ამავე დროს შტოს უმოქმედობა შეუძლებელსა ჰყოფს მწარმოებელთათვის ქარხნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას".

შემდეგ გაზეთი ეხება იმას, თუ შტოს მოუწყობლობისა გამო რაოდენი მარგანეცი რჩება გაუტანელი. ჭიათურისა და დარკვეთის სადგურებზედ 40—45 მილიონი ფუთი ქვა აწყვია თურმე უსარგებლოდ. ეს ქვა ბეს მაგიერობასა სწევს, ამ ქვის მეოხებით შეუძლიანთ მხოლოდ შავის-ქვის მწარმოებელთ ვაგონების მიღება; ამასთან ერთის ვაგონის მისაღებად საჭიროა მწარმოებელს საწყობში 20,000 ფუთი ქვა ჰქონდეს შენახული. 45 მილიონი ფუთი ქვა საწყობებში ულაგიათ მწარმოებელთ ვაგონების მიღების უზრუნველ-საყოფელად, ამ ქვას ერთ ფუთსაც არ აკლებენ, ხოლო საზღვარ-გარეთ სხვა ქვასა ჰგზავნიან. 45 მილიონ ფუთის ღირებულობა 3 მილიონ მანეთს აღემატება. ეს უნაყოფო ფონდი ნასესხი ფულითაა შედგენილი; მარტო სარგებელს წელიწადში 350 ათას მანეთს იხდიან მწარმოებელნი, სხვა ხარჯს თუ არ ჩავაგდებთ, როგორც, მაგალითად, სადგომის ქირას და სხვას. „Пром. Міръ" ის კორესპონდენტის გამოანგარიშებით, ჭიათურის შტოს მოუწყობლობისა გამო, ყოველ წელიწადს შავის ქვის მწარმოებელთ თითო მილიონ მანეთის ზარალი მოსდით. ამავე მოუწყობლობამ დაჰბადა სპეკულიაციის ახალი დარგი: დღეს ჭიათურაში „პლატფორმებით" ისევე ჩარჩობენ, როგორც თეატრის ბილეთებით, როდესაც თეატრი სავსეა ხოლმე. ამას გარდა ტარიფიც მეტად დიდია. 38 ვერსში ფუთზედ გზა 7 კაპეიკს იღებს.

„ყველა ამის შემდეგ, სწერს დასასრულ გაზეთი, გასაკვირველი არ არის, რომ ზოგიერთ მრეწველთ უფრო სასარგებლოდ მიაჩნიათ შავის-ქვის ჭიათურიდგან ყვირილამდე ხარებითა და კამეჩებით გადაზიდვა, ვიდრე რკინის გზით. პროექტიც-კი შეუდგენიათ ამ საქმის (ქვის ურმებით გადაზიდვა) მოწყობისა; იმედი აქვთ, რომ ჭიათურის შტოს დიდ მეტოქეობას გაუწევენ. რა ზომამდე მოუწყობელი უნდა იყოს გზა, რომელსაც ხარებისა და კამეჩების მეტოქეობა მოელის!.. ამ ჟამად ჭიათურის შტოს შეუძლიან გაიტანოს მხოლოდ 25 მილიონი ფუთი ქვა; ის გარემოება, რომ გზა ამაზედ მეტს ვერ გაიტანს, მთავარი ხელშემშლელი მიზეზია შორაპნის შავი-ქვის წარმოების წარმატებისა. შტოს განგრძობა უფრო გააძნელებს საქმეს, რადგანაც მეტი ქვა იქმნება გასატანი, რკინის გზას-კი, როგორც ვთქვით, 25 მილიონზედ მეტის გატანა არ შეუძლიან. დროა, სახელმწიფო რკინის გზათა გამგეთ ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ წარმოების საჭიროებებს და შეიგნონ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ რკინის გზის შტოები წარმოებაზედ ახალ გადასახადის გასაწერ იარაღს-კი არ შეადგენენ, არამედ ამ წარმოების განმავითარებელ საშუალებას. ჭიათურის შტომ დროზედ შავის-ქვის გადაზიდვით და ტარიფის დაკლებით ხელი უნდა შეუწყოს შავი-ქვის მსოფლიო ბაზრის მოპოების საქმეში და არ შეაფერხოს საქმე დასაწყისშივე. რკინის გზათა ასეთი მიმართულება თვით ხაზინისათვის არამც თუ სასარგებლო არ არის, არამედ პირდაპირ მაზარალებელი და მავნებელია".

უცხოეთი

ავღანისტანი. „ზამან"-ის კორესპონდენტი იწერება ქაბულიდგან: „ქრისტიანები ჩვენს ფატალიზმს (ბედის წერის რწმენას) დასცინიან და ისლამის აღსარებელთ უმოძრაო, უთაურ ხალხათა გვთვლიან. დიდ! ნამდვილად სულ წინააღმდეგს ვხედავთ, ალლაჰი ჩვენკენ არის... თუ რომ ღმერთი ჩვენკენ იქნება, ყველა იმათი მეცადინეობა ჩვენდა გასანადგურებლად ფუჭი და უქმი იქნება.

„ას წელიწადზედ მეტია მოსკოვი ოსმალთა სულთანს ებრძვის და ცდილობს ტახტი მისი როგორმე დაამხოს. მაგრამ რას გახდა განა? სულთანი დღეს უფრო მაგრად არის და ძლიერია თავისის ჯარით, ვიდრე მისნი წინაპარნი იყვნენ ამ საუკუნის განმავლობაში. ავღანისტანის ემირიც ასრეა!

„მას შემდეგ, რაც აბდურახმან-ხანი თავისის ერთი მუჭა გულად მეომრებით თავისს კანონიერს სამფლობელოში შევიდა, განსდევნა იაკუბ-ხანი და მამა-პაპათა ტახტზედ ავიდა, 20 წელიწადზედ მეტი გავიდა. იმ დღიდგან მოკიდებული მოსკოვის ჯარები სულ იმის მზადებაში არიან, რომ ემირს თავს დაესხნენ და სახელმწიფო წაართვან. მაგრამ, ყველა კარგად ჰხედავს, დღემდის ეს არ მომხდარა. რატომ განა? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ ცბიერს მოსკოვს ჩვენის ემირის წინააღმდეგ არა ჰქონდეს რა განზრახული, სულაც არა! ამისი მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ აბდურახმან ხანს ალლაჰისა და თავისის იარაღისა დიდი იმედი აქვს და მტერი ვერ ჰბედავს ფეხი შემოდგას... მოსკოვმა ჯერ კიდევ არა იცის-რა იმის შესახებ, თუ ემირს რამდენი ჯარი ჰყავს და რა რიგ გაწვრთნილი, შეიარაღებული. მოსკოვს ისევ ისა ჰგონია, რომ ავღანისტანში 3.500,000—4.00,000 მეტი მცხოვრები არ არის, როგორც ძველადა და 70,000—75,000 მეტი ჯარი არ მოექმნება. რასაკვირველია, მოსკოვს არავინ არც აღუკრძალავს და არც უსაყვედურებს—ასე რად ფიქრობს, მაგრამ ჩვენ-კი მაინც დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ავღანისტანში ამ ჟამად ათი მილიონი მცხოვრებია და ომის დროს ემირს 300,000 მშვენივრად გაწრთვნილ და შეიარაღებულ მეომრის გამოყვანა შეუძლიან.

„ჯერ ისევ 1880 წელს თვითონ ავღანისტანში ითვლებოდა 4.500,000 მცხოვრები. მაშინ კანდახარისა და ჰერატის სახანოებს ეიუბ-ხანი და იაკუბ-ხანი ჰმართვიდნენ და ავღანისტანის სახანოს არ ეკუთვნოდნენ, რომლის მმართველადაც მაშინ შირ-ალი-ხანი იყო. შირ ალი-ხანის რუსეთში გაქცევის შემდეგ და აბდურახმან-ხანის მიერ მისის შვილის იაკუბ-ხანის ტახტიდგან ჩამოგდების შემდეგ, 1880 წელს კანდახარისა და ჰერატის სახანოები ავღანისტანს შემოუერთდნენ (იაკუბ-ხანი ინდოეთში გაიქცა, ეიუბ-ხანი სპარსეთში). ამ ორს სახანოს აბდურახმანმა შემდეგ ბადახშანისა და კაფირის ტანის ორი დიდი ოლქი სხვაც შემოერთა. აქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან ცხადის, 20 წლის შემდეგ მცხოვრებთა რაოდენობა ამ ქვეყნებისა ერთად 10.000,000-ს გადააჭარბებდა.

„ემირს აბდურახმანს პატივს სცემენ და უყვართ არა მარტო თავისს სამეფოში, არამედ მეზობელსა და მორეულს ქვეყნებშიაც. როგორც კი მოსკოვთან ომი მოუხდება, მართლ მორწმუნენიც აშინვე ათი ათასობით მისს დროშებს ქვეშე თავს მოიყრიან თვით მოსკოვის მიერ უკვე დამორჩილებულ ხივისა, სამარყანდისა და კოკანდის სახანოებიდგანაც-კი, არა თუ ბუხარის სახანოებიდგან, რომლის მცხოვრებთაც თვისი შევიწროებული მდგომარეობა კარგადა აქვთ შეგნებული და იციან ისიც, თუ სეიდ ბადადურ-ხანი რად ატარებს უნებურად მოსკოველ გენერლის მუნდირს.

— უკანასკნელ ომის შემდეგ, რომელიც მოსკოველთა და ოსმალთა შორის მოხდა, ალლაჰმა კეთილ ინება და მოსკოველთა ყურადღება ინდოეთს მიაპყრო; ამისა გამო ხალიფს საშუალება მიეცა ძალი კვლად შემოკრიბა და მამა-პაპათა დაკარგული დიდება კვლავ დაებრუნებინა. ახლაც ასრევე მოხდა: დიდებულმა ალლაჰმა მოსკოველებს ძლიერი მტერი მორეულს აღმოსავლეთში გაუჩინა: ეს გახლავთ იაპონია. ამიერიდგან აბდურახმანს მოსკოველებისა შიში აღარ აქვს. გული უნდა დამშვიდებული ჰქონდეს. ჯერ დიდი დრო და ხანი გაივლის, რომ მოსკოვი ავღანისტანისათვის ვერ მოიცლის და მით უფრო ვერ მოიცლის სულთანისათვის, რომლის გულისთვისაც ყველა სამაჰმადიანო ქვეყნებიდგან თავგამოდებულნი მებრძოლნი მოლოდინობით შემოჰკრებიანო".

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აპრილი

ჩისტოპოლი. წრეულს წყლებმა შარშანდელთან შედარებით ძლიერ იმატეს.

პეკინი. მცირე კომისია, რომელიც ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და იაპონიის ელჩებისაგან შესდგება, ოთხშაბათს წარადგენს მოხსენებას იმის შესახებ, თუ ჩინეთი სამხედრო საზღაურის გაღების მხრივ რა მდგომარეობაშია. ეს თანხა უკვე 65 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის. ჩინეთმა რომ ეს თანხა როგორმე იშოვოს, 45 მილიონი გირვანქა სტერლინგი მაინც უნდა ისესხოს, რაიცა მძიმე ტვირთად დააწვება ერთის მხრივ ჩჟილის პროვინციას, მაგრამ უმთავრესად-კი იანცეს ველზედ მდებარე სამხრეთ პროვინციებსა.

მელბურნი. რუსეთის კრეისერი „Громобой" გობსონის ყურეში მოვიდა.

პეკინი. საელჩოების დასაცველად მუშაობა უკვე სწარმოებს. კედლის სიგანე ექვსი ფუტი აქვს, სათოფეები აქვს დაყოლებული და ამერიკის ახალ საელჩოსა ჰსაზღვრავს დასავლეთით და საიმპერატორო სასახლეში შემავალს გზას თავს დასცქერის.

ალჟირი. გაზ. „Nouvelle"-ს რედაქტორი, რომელმაც რეჟისი დასჭრა რევოლვერით, და გაზეთ „Revanche"-ს რედაქტორი, რომელსაც ამის თანამოზიარეთა სთვლიდნენ, დააპატიმრეს და სამართალში იქმნებიან მიცემულნი.

ნიუ-იორკი. გაზ. „Christian Herald" მა გრაფს ვალდერზეეს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა ნება დაერთოს, რომ შანსიში საჭმელი იქმნეს გაგზავნილი.

ტიანძინი. საქმეთა მდგომარეობა ამ ჟამად აქ ისეა, რომ შეუძლებელია უცხოელთა ჯარებს მოაკლდეს რამე. როგორც ხმა დადის, ჩინეთის რჩეული ჯარი საკმაოდ თურმე სდგას პაოტინფუსთან.

ლონდონი. დილით მთის მუშათა კრება მოხდა, რომელსაც მუშათა წარმომადგენელნი ინგლისის ყველა კუთხიდგან დაესწრნენ. კრებაზედ დადგენილ იქმნა — მთის მუშები უთუოდ გაიფიცნენ, თუ რომ ნახშირზედ მომატებული საბაჟო გაუქმებული არ იქმნება. შემდეგს კრებაზედ, რომელიც 25 აპრილს მოხდება, აღნიშნული კითხვა საბოლოოდ გარდასწყდება და იქვე დაჰნიშნავენ დროს მუშაობაზედ ხელი როდის აიღონ.

19 აპრილი

ტიუმენი. ტურინსკში დაიწვა 24 სახლი და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.

სტოკჰოლმი. სეიმის საკონსტიტუციო კომისსიამ დაადგინა, თანახმად კონსტიტუციის მე-107 მუხლისა. წარუდგინოს სეიმს განსახილველად მოქმედება საზღვაო მინისტრის დირსენისა, რადგანაც სამსახურში ჯეროვანს მიუფერებლობასა, კეთილსინდისიერებასა და სარგებლობას ვერ იჩენდა. მინისტრმა დასაჯა კონსტრ-ადმირალი გეგგი ისეთის საქციელისა გამო, რომელშიაც კომისსიამ იგი დამნაშავეთ არა სცნო.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ გენერალი ლესსელი და ფლიგელ-ადიუტანტი ბანი ექსპედიციიდგან უკვე დაბრუნდნენო. როგორც ლესსელი გადმოგვცემს, ხაიმანგვუანსა და კოკვანს შუა კედელთან ნანახი ჩინელები ხუნანისა, ხუმეხონანისა, გუანსისა და მანსის პროვინციებიდგანა ყოფილან; ჩინელები სულ 15,000 კაცი იყოო; ჩინელებმა შანსისაკენ დაიხიეს უწესრიგოდ და 8 კილომეტრის მანძილზედ ვდევნიდითო. ვუარონმაც გაიყვანა საფრანგეთის ჯარები ხენაიხოკიენიდგან.

პეკინი. ვუარონი ტიანძინში მიდის და იქ იმზადებს უმთავრესს ბინას, რომ, თანახმად უცხო სახელმწიფოთა ელჩების სურვილისა, რომლებიც თხოულობენ, რომ მოკავშირეთა ნარები ნაწილ-ნაწილად დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნენ, საფრანგეთის ჯარის გაყვანას თვალყური აქედგან ადევნოს. სხვა-და-სხვა სამხედრო საგნების შესახებ გენერლების პასუხი ვალდერზეემ დღეს გადასცა ელჩებსა. პასუხი საზოგადოდ ელჩების შეხედულებას ეთანხმება. თანახმად ელჩების მოთხოვნილებისა, რომ თითოეულს ერს ერთი ნაწილი თავისის ჯარისა ტიანძინსა და შანხაიგუანში დაეტოვებინა, გენერლებმა წინადადება წარადგინეს, რომ აღნიშნულს ადგილებში თითოეულმა ერმა სამას-სამასი კაცი დასტოვოს.

ბელბურნი. რუსეთის სამხედრო გემის „Громобой"-ს ოფიცრებს პარლამენტის შენობაში უპირებენ დიდებულად მიღებას.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება დეპეშით პრეტორიიდგან: „გელმრობერგის მახლობლად გენერალი გრენფელი ბურებს თავს დაესხა, სადაც მათ „გრძელი ტომი" დაედგათ. 10,000 იარდის მანძილზედ სროლა დაუწყეს. მაგრამ როდესაც კიტჩენერის მსროლელნი 3,000 იარდის სიშორეზედ მიუახლოვდნენ. ბურებმა ზარბაზანი ააფეთქეს და თითონ უკან დაიხიეს; ათი კაცი ტყვეთ წაიყვანეს. სხვა რაზმებიდგან იუწყებიან, რომ სხვა-და-სხვა ადგილას შეტაკების დროს მოუკლავთ ათი კაცი, დაუჭერიათ ექვსი, ტყვეთ წაუყვანიათ ათი და დაჰმორჩილებიან 60; დავლათ დაჰრჩენიათ 400,000 სროლა ტყვია წამალი. ინგლისელებს მოუკლეს ოთხი, დაუჭრეს შვიდი".

კონსტანტინოპოლი. ჩინეთში მიმავალი მისსია უკვე წავიდა აქედგან; მისსიის უფროსი ენვერ-ფაშაა.

კონსტანტინოპოლი. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა. რომ გალატში შენიშნული საეჭვო ავადმყოფობა შავი ჭირია. ავადმყოფი ოცდა ათის წლისაა, ადგილობრივი მცხოვრები და მუშა მაკარონის ფაბრიკისა. სასანიტარო საბჭოს ხვალ ექმნება ამის შესახებ რჩევა.

კანეია. კრების არჩევნებზედ ამორჩეულ იქმნენ 54 კანდიდატი საოპოზიციო დასისა და სამი მუსულმანი; მთავრობის კანდიდატებად ათი დეპუტატი კიდევ უნდა იქმნეს მეფის ძის გიორგის მიერ დანიშნული. წესიერება არსად არ დაურღვევიათ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 21 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა მოსახნავად ქალაქის მიწა, მე-7 ნაწილში (ნავთლუღში) მდებარე, სადაც წინად ნაგავსა და უსუფთაობასა ჰყრიდნენ.

მსურველთ დაწვრილებითი პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 აპრილისათვის 1901 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)		9820	31
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში		120	88
III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ." საბანკო კანტორაში		100	–
IV. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.		1000	—
V. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი.			
ა) უზრუნველ-ყოფილნი:	2060—76		
ბ) არა-უზრუნველ ყოფილნი:	6200—	8260	76
VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი.		3904	34
VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი		266751	47
VIII. პროტესტ-ნაქმნარი თამასუქები		1150	—
IX განაღდება %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.		1231	35
X. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ. ფას. ქაღალ.	7412—60		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ.	29492—		
გ) საქონელზედ	20407—		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	13176—	70487	60
XI დასაბრუნებელი ხარჯი		98	26
XII. მოწყობა-მომართვა		2314	80
XIII. კორესპონდენტები:			
ა) ჩვენის ანგარიშით (nostro)	213–14		
ბ) იმათის ანგარიშით (loro)	24547—34	24760	48
XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი		172	14
XV. სხვა-და-სხვა დებიტორები		251	53
XVI. გარდასაცემი თანხა		630	18
XVII. მიმდინარე ხარჯი		4275	76
სულ		395329	86

პასივი.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარა საზოგადოების 828 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან		86126	—
II. სათადარიგო თანხა		4046	15
III. სარგებელი სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდებისა		28	50
IV. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით	114771–42		
ბ) ვადით	141329—		
გ) უვადოდ	965—	257065	42
V. გარდასაცემი თანხა		2611	41
VI. გარდასახდელი სარგებელი		873	34
VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		22	12
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად.		300	—
IX. გარდასაგზავნად შემოტანილი ფული		1000	—
X. კორესპონდენტები:			
ა) ჩვენის ანგარიშით (nostro)	8201—79		
ბ) იმათის ანგარიშით (loro)	9000—	17201	79
XI. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში		9100	—
XII. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებანში:			
ა) თამასუქების უზრუნ.-ყოფით		3	06
ბ) %-ან ქაღალდებ. უზრუნ.-ყოფით.	—	—	—
XIII. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში		96	53
XIV. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა		2367	71
XV. მიღებული სარგებელი		7444	30
XVI. მოგება და ზარალი 1901 წლისა		40	—
XVII წმინდა მოგება 1900 წლისა		7003	53
სულ		395329	86
პასუხის-მგებლობა 828 წევრისა 10-%-იან შემოსატანს გარდ.		775134	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება.		4900	—
თამასუქები საკომისიოდ		470	22

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Апрѣля 1901 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.